

ლევან ბერძენიშვილი

# ნიმუში ცეკვისადი



## სარჩევი

სიგლის მემორიალური ჳოსაცალი . . . . .	11
არკადი . . . . .	16
გრიშა . . . . .	25
ზორა . . . . .	34
პონი . . . . .	51
რაფიკა . . . . .	70
გენრიხა . . . . .	87
მიშა . . . . .	105
გორია . . . . .	120
ვაჭიში . . . . .	137
ანალენეო . . . . .	155
გაპიო . . . . .	173
რაზლავები . . . . .	192
გუტოვი . . . . .	209
ლისეანისი . . . . .	228
დათო . . . . .	246

„წმინდა ნათელში, ამბობს ჰეგელი,  
წმინდა სინათლის დიად ბადეში  
ისე ცოტაა გასაგებელი,  
როგორც რომ წმინდა სიწყვდიადეში“.

გალაკტიონი

სხვა წიგნებივით ამ წიგნსაც თავისი ბეჭი აქვს – იგი შეც-დომით დაიბადა.

ძველი ბერძენი რეფორმატორისა და პოეტის, სოლონის ერთი ელეგიის მიხედვით, ადამიანის ცხოვრება შვიდწლიანი პერიოდებისგან შედგება (პირველ შვიდ წელიწადში ბავშვი კბილებს მოიცვლის, მეორეში სიმწიფეს აღწევს, მესამე-ში წვერი ამოუვა, მეოთხეში აყვავდება, მეხუთეში ოჯახს ქმნის, მეექვსეში საქმეს სერიოზულად ეკიდება, მეშვიდესა და მერვეში სრულყოფილია, მეცხრეში დასუსტება იწყება, მეათეში კი უდროო აღარ იქნება მისი სიკვდილი). საკმაოდ ბევრი რამ გადამხდენია, მაგრამ საკუთარ თავზე დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში ყველაზე დიდი გავლენა ჩემზე მეხუთე შვიდწლეულს – დაპატიმრების ოთხწლიან მოლოდინსა და თავისუფლების სამწლიან აღკვეთას მოუხდენია. ეს გავლენა იმდენად დიდია, რომ საკმარისია, ვინმე ახალი ადამიანი გავიცნო, ქართველი იქნება ეს თუ უცხოელი, რამდენიმე სიტყვის შემდეგ აუცილებლად ავუხსნი, რომ ოდესლაც პოლიტიკური პატიმარი ვიყავი. ახალგაცნობილ კაცთან ჩემი ნებისმიერი საუბარი გარდაუვალი აუცილებლობით შეუხვევს ამ თემისკენ.

შინაგანად ვეწინააღმდეგები საკუთარ თავს. არ მომწონს ეს ამბავი: რაღაც ძალიან მარტივი კაცი გამოვდივარ. ჩემი მოქმედების პროგნოზირება და გამოცნობა უიოლესი საქმე

ხდება. ვეუბნები საკუთარ თავს, არ არის საჭირო ამდენი ლაპარაკი კაგებეზე, გულაგზე, ციხესა და უბედურებაზე, ილაპარაკე ძველ საბერძნეთზე, ჰომეროსზე, არისტოფანეზე, რუსთაველზე, ბარათაშვილზე, გალაკტიონზე, ფეხბურთზე, პელეზე, გარინჩაზე, რონალდოზე, კომპიუტერზე, ვინდოუსზე, მაკინტოშზე, აიფონზე, დიეტაზე, ცილებზე, ატკინსზე, ნახშირწყლებზე, არასამთავრობო სექტორზე, ფონდებზე, განათლებაზე, ისტორიაზე, პოლიტიკაზე, ილიას მკვლელობაზე, ქართველობაზე, მოგზაურობაზე, ბრაზილიაზე, რაზეც გინდა ილაპარაკე, ლაპარაკი კი იცი, რას გადაეკიდე ამ ციხეს, ამ ბარაშევოს, ამ დუბრავლაგს, ოცდაათი წლის წინანდელ პატიმრობას?!

ამიტომაც არასოდეს არ ვწერდი არც რესპუბლიკური პარტიის ჩამოყალიბებაზე, არც გამოძიებაზე, არც თავისუფლების დაკარგვის მოლოდინზე, არც ვეძინის ქუჩაზე დაპატიმრებაზე, არც ჩემი სახლიდან ას ნაბიჯში მდებარე სუკის იზოლატორზე, სადაც ექვსი თვე ვიჯექი, არც როსტოკის, რიაზანისა და პოტმის ციხეებზე, არც სტოლიპინად წოდებულ ეტაპზე და არც ბარაშევოზე, სადაც ჩემი ცხოვრების საუკეთესო სამი წელი გამიტარებია. საუკეთესო წლებს რომ ვამბობ, ორივე გაგებას ვგულისხმობ, ცხოვრების საუკეთესო წლებიც იყო (ბოლოს და ბოლოს, ახალგაზრდა ვიყავი და რა სჯობია ამ ასაკს) და, საერთოდაც, საუკეთესო წლები იყო (ამაზე უკეთესი პერიოდი არ მქონია, კაგებეს მიერ დიდი რუდუნებით შერჩეულ ასეთ ხალხს შემდგომში ვინდა მომიგროვებდა).

ბარაშევოზე არაფერი დამიწერია, მაგრამ ახლობლებისთვის, რა თქმა უნდა, მომიყოლია იქაურ წყალზე, ჰავაზე, სიტუაციაზე, რეჟიმზე, თავისებურებებსა და, რაც მთავარია, ხალხზე – ჩემს მეგობარ პატიმრებსა და ჩვენს დაუღალავ დარაჯებზე.

საყვარელი მეგობრები ხშირად მეუბნებოდნენ, შენი პატიმრობის ამბები აუცილებლად უნდა აღწეროო და მეც ვიცოდი, რომ უნდა აღმენერა, მაგრამ სულ მეგონა, რომ ამის დრო ჯერ არ დამდგარა. და როდესაც უცხო ქვეყანაში, სიბლის მემორიალურ ჰოსპიტალში შეწუხებულმა ექიმმა დაასკვნა, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ მეწერა, ხოლო მისი ნაფიქრალი ჩემს იქაურ და აქაურ ახლობლებს სახეზე ისე ცხადად დაეწერათ, რომ, ორმოცდაორგრადუსიანი ტემპერატურის მიუხედავად, მეც კი წავიკითხე, მივხვდი, რომ ის დრო დადგა.

ვიცი, რომ პირველი არ ვარ, ვისაც განსაკუთრებულ-მა გარემოებებმა ხელში კალამი ააღებინა; ჩვენს რიგებში გრაფომანებიც ბლომად იყვნენ და გენიოსებიც (მარტო მარსელ პრუსტის ხსენება რად ლირს!), მაგრამ მე „კალამი ავიღე“ ანუ კლავიატურა მოვირგე არა მხატვრული წიგნის დასაწერად, არა დაკარგული დროის დასაბრუნებლად, არ-ამედ დაკარგვადი პერსონაჟის გადასარჩენად, მე ვიბრძვი არარიგითი არკადი დუდკინის გადასარჩენად. მე რომ არ ვიყო, არკადი დაიკარგება, ვერავინ გაიგებს, რომ ის იყო ამქვეყნად, რომ მის ყოფნას აზრი ჰქონდა. სხვებმა დიდი ხანია, დაივიწყეს და ზოგს არც დაჰვიწყებია, რადგან არც ზონაში დაუნახავთ და არც არასდროს ხსომებიათ. არკადი რომ არ აღვნერო, იგი ჰადესში ისევე დამადგება თავს, როგორც ოდისევსი დაადგა აქილევსს, და პასუხს მომთხოვს. არკადი რომ დაიკარგება, მეც დავიკარგები და ვიღაცა შეცდომით იფიქრებს, რომ მართლა მიცნობდა, რაკი ჩემს რომელიმე ლექციას დასწრებია, ტელევიზიით ჩემი რომელიმე გამოს-ვლა უნახავს ან ინტერვიუ წაუკითხავს.

ფლობერივით წერა არ შემიძლია, მაგრამ ამ დიდმა კაცმა თუ თქვა, მადამ ბოვარი მე ვარო, მეც შემიძლია ვთქვა, რომ არკადი დუდკინი მე ვარ.

ცოტა ხნის შემდეგ ექიმმა აღიარა, რომ მისი ყველაზე ცუდი ეჭვი არ გამართლდა და ჰადესში ჩემი გამგზავრება გაურკვეველი დროით გადაიდო, მაგრამ უკვე გვიანი იყო: არკადი დუდკინი, როგორც პერსონაჟი, უკვე ქცეული იყო Arial Unicode MS Opentype შრიფტით აწყობილ ტექსტად და სამი დაბლიუს სივრცეებში ჩემგან დამოუკიდებლად დახტიალობდა.

დავით წინასწარმეტყველი ორმოცდამეერთე ფსალ-მუნში ამბობს, რომ „უფსკრული უფსკრულსა ხადის“ ანუ მოუხმობს და არკადი დუდკინმაც უხმო გრიშა ფელდმანს, გრიშამ ჟორა ხომიზურს, ჟორამ ჯონი ლაშქარაშვილს, ჯონიმ რაფიკა პაპაიანს, რაფიკამ გენრის ალთუნიანს, გე-რიხამ მიშა პოლიაკოვს, მიშამ ბორია მანილოვიჩს, ბორიამ ვადიმ იანკოვს, ვადიმმა ფრედ ანადენკოს, ფრედმა იური ბაძიოს, ბაძიომ ალექსეი რაზლაცკის, რაზლაცკიმ პეტრე ბუტოვს, ბუტოვმა დაინის ლისმანისს და ყველა ერთად იყო თოთხმეტი და თოთხმეტივემ ერთად უხმო დათოს და ჩემი მეხსიერება ისე განათდა, რომ სინათლე სიბნელედ იქცა, წყვდიადი დაინინდა და წმინდა წყვდიადი ალაპარაკდა.

ასე დაიბადა ეს წიგნი შეცდომით, ოღონდ არა განგების, არამედ ექიმის შეცდომით.

## სიბჭის მემორიალური ჰოსპიტალი

თხელკრისტალური მონიტორები, სქელი მავთულები, შტატივები, კრონშტეინები, მართვის პულტი, ხალხი თეთრებში, ლურჯებში, შინდისფერებში და სინათლე, სინათლე, ასიათასი ლუმენის სინათლე. „წმინდა ნათელში...“ „თითქოს კოსმოსურ ხომალდზე ვარ“, – გავიფიქრე და გონება დავკარგე. სადღაც გამალებით მივექანებოდი და მიხაროდა. იყო მხოლოდ სინათლე და სისწრაფე. მივექანებოდი დიდხანს და უეცრად გავჩერდი. სხეული ვიგრძენი. სხეული ვიგრძენი თუ არა, ქალების საუბარიც გავიგონე. სინათლე ჩაქრა. მოძრაობა იყო სინათლე. გაჩერება არის სიბნელე. დადგა სრული წყვდიადი. სრულიად სრული წყვდიადი, „წმინდა წყვდიადი“. წყვდიადში ქალები ლაპარაკობდნენ. შენუხებულები საუბრობდნენ ძალიან ხმადაბლა. რაღაცას ამბობდნენ, მაგრამ ვერ ვხვდებოდი, რას ამბობდნენ. მანუხებდა ეს: რატომ ვერ ვხვდები, რას ლაპარაკობენ? „წმინდა ნათელში, – ამბობს ჰეგელი, – წმინდა სინათლის დიად ბადეში...“ მე ვარ მე, მესმის ქალების ხმები და არ მესმის აზრი. „...ისე ცოტაა გასაგებელი, როგორც რომ წმინდა სიწყვდიადეში.“

ბოლოს ბეგერებიდან გამოდნა რაღაც, რასაც უნდა ჰქონდა აზრი. ეს რაღაც იყო სიტყვა. პირველითგან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო „ინშურანს“. ამ სიტყვას აქვს აზრი, ვხვდები მე. არათუ აქვს აზრი, არამედ მე ვიცი კიდეც ეს აზრი. რატომ ვერ ვხვდები ამ აზრს? იმიტომ, რომ ეს არ არის ქართული სიტყვა. ეს სხვა ენაა. ეს ინგლისური სიტყვაა. ეს ნიშნავს „დაზღვევას“. ეს იმას ნიშნავს, რომ ქალები ინგლისურად საუბრობენ. რატომ ინგლისურად? სად ვარ მე? რა თქმა უნდა, ეს კოსმოსური ხომალდი არ არის, ბევრად უფრო მიწიერი ადგილია. ეს საავადმყოფოა და აქ ინ-

გლისურად ლაპარაკობენ. აქ იმიტომ ვარ, რომ მოულოდნელად ძალიან ცუდად გავხდი. ჯერ თვითმფრინავში ოკეანის თავზე გავხდი ცუდად და კანკალმა ამიტანა, მერე მექსიკის საელჩოში გული წამივიდა. ჩვენს საელჩოსაც ველაპარაკე ტელეფონით. რა მინდოდა მექსიკის საელჩოში? ვამახსენდა, ეს ვამინგტონია. მე ვაშინგტონში ვარ, აქედან მექსიკაში, კანკუნში უნდა გავიწყონილიყავი, იქიდან კიდევ სადღაც. ბოლოს ირენასთან ვიყავი სახლში, კონექტიკუტზე. ირენა ლასოტა ჩემი მეგობარია. „შენ ძალიან ცუდად ხარ“, – მითხრა მან და ჩემი ცუდად ყოფნის ასპროცენტიანი არგუმენტი მომიტანა, შენ ჩემი გაკეთებული იხვი ვერ შეჭამე. ეს ბოლოა, რაც მახსოვს. მახსოვს, რომ საოცნებო იხვი ვერ შევჭამე და ეს უტყუარად ნიშნავდა, რომ ძალიან ცუდად ვიყავი.

– დაზღვევა რომ არ აქვს, ეს გვაფიქრებს. ხომ გესმით, ჩვენი ჰოსპიტალი ჯონს ჰოპკინსი არაა, მაგრამ იაფიანიც არ ეთქმის, – „სწორად მივხვდი, ეს ჰოსპიტალია“, – გავიფიქრე მე. უცნობი ქალის ხმა განაგრძობდა: – ამოდენა თანხა როგორ უნდა გადაიხადოს?

– ძვირფასო ექიმო, ეს უბრალო კაცი არ გეგონოთ, პარლამენტის წევრი და ყოფილი პოლიტიკური პატიმარია, საბჭოთა გულაგში იჯდა, თავის ქვეყანაში ყველა იცნობს, ათასი ჭირისუფალი ჰყავს, უპატრონო კი არ არის, – ეს ჩემი მეგობარია, ირენა ლასოტა, მის ხმას და ინგლისურში პოლონურ აქცენტს ათი ათას ხმაში გამოვარჩევ.

– რა უცნაურია, მთელ ამერიკაში ალბათ ასიოდე ექიმია, ვინც საერთოდ იცის, გულაგი რა არის და ათიოდე თუ იქნება, ვისაც ეს გულაგი აინტერესებს და ჩემი სახით ამ ათიდან თქვენ ერთ-ერთს გადააწყდით. დედაჩემი გულაგის პატიმარი იყო, მე თვითონაც გულაგში ვარ დაბადებული.

– სად დაიბადეთ? სად იჯდა დედათქვენი? – აღელდა ირენა.

- პოტმაში, დუბრავლაგში, – უპასუხა ქალმა.
- მე ყველაფერს გადავიხდი, – მინდოდა მეთქვა, მაგრამ ვერ ვამბობდი.
- ეს არ შეიძლება შემთხვევითობა იყოს, ეს კაციც დუბრავლაგში იჯდა, ბარაშევოში.
- დედაჩემი რომ ცოცხალი ყოფილიყო....
- ჩვენ სამივენი ვისხედით, – დაასკვნა ირენამ. მთელ ვაშინგტონში გულაგში ნაჯდომი სამი კაცია და ყველამ ერთად სიბლის ჰოსპიტალში მოვიყარეთ თავი.
- „ცოტა ხნით“, – მინდოდა დიალოგში შესვლა, მაგრამ ვერ შევდიოდი.
- უკაცრავად, თქვენი სახელი?
- ირენა. ირენა ლასოტა.
- ქალბატონო ლასოტა, პაციენტი თქვენი რა არის?
- ძველი მეგობარია. ამ დილით ჩამოფრინდა საქართველოდან.
- შევეცდები, დაველაპარაკო პაციენტს. გამარჯობა, – მომმართა უცნობმა თეთრხალათიანმა ქალმა.
- „გამარჯობა, ექიმო“, – მინდოდა მეთქვა, მაგრამ ვერ ვამბობდი.
- შეიძლება ესმის კიდეც, მაგრამ ვერ მიპასუხებს. თქვენ მითხარით, რა ჰქვია?
- ლევან ბერძენიშვილი, „ბ“ როგორც „ბორისი“, „ე“ როგორც „ედუარდი“, „რ“ როგორც „რონალდი“...
- რა რთული გვარია!
- შეგიძლიათ „მისტერ ბი“ უწოდოთ.
- ძალიან კარგი, იყოს მისტერ ბი. მე მისი მკურნალი ექიმი ვარ, ჩემი სახელია პეიჯი, პეიჯ ვან ვირტი.
- სასიამოვნოა, მისის ვან ვირტი.
- მისის ლასოტა, მისტერ ბის ერთდროულად ორი სერიოზული პრობლემა აქვს: მარცხენა ფეხზე ეპიდერმისის

ინფექცია და თირკმლის ფუნქციის მოშლა. ინფექცია შორს არის წასული და მასთან ბრძოლაში ძალიან ძლიერი ანტი-ბიოტიკები უნდა გამოვიყენოთ. სამწუხაროდ, ამით თირკმლების მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება. მინდა იცოდეთ, რომ რისკი ძალიან სერიოზულია. პირველი სამი დღე რეანიმაციისა და ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში უნდა გაატაროს. ინფექციას რომ გავუმკლავდებით, თუ თირკმელმა დატვირთვას გაუძლო, მერე მასაც მივხედავთ. ყველაფერი გაიგეთ?

– ინფექცია აქვს და მასთან ბრძოლას თირკმელმა შეიძლება ვერ გაუძლოს, ყველაზე ცუდისთვის უნდა ვიყო მზად, მადამ პეიჯ.

– უბრალოდ, პეიჯ, ან თუ მაინცადამაინც მადამ, მაშინ მადამ ვან ვირტ, – სევდიანად შეუსწორა ექიმმა.

– გავიგე, მადამ ვან ვირტ.

– ვიცი, რომ სამგზავრო დაზღვევა აქვს, რომელიც აქ არაფერში გამოადგება. კაცმა რომ თქვას, ნამდვილი დაზღვევა არ აქვს, მაგრამ ფული აქვს თუ არ აქვს, ჩვენ ახლა მაინც მივხედავთ.

– დიდი მადლობა.

– თქვენ ამბობთ, რომ გულაგის ყოფილი მკვიდრია, ეს მართალია?

– დიახ.

– მაშინ რამდენჯერაც მორიგე ვიქნები, იმდენჯერ მოვთხოვ იქაური ამბების გახსენებას. ლაპარაკი მისთვის სასარგებლო იქნება, მე კიდევ ღამით მაინც არ მეძინება. ამ ზეპირი მოთხოვბების სანაცვლოდ ერთ სიკეთეს მეც გაუკეთებ, ჩემს ანაზღაურებას არ მოვთხოვ და რამდენიმე ათასი დოლარი დაეზოგება. როგორ ფიქრობთ, ბატონი ბი თანახმა იქნება?

– როგორ არ იქნება თანახმა?! – თქვა ირენამ, – ოლონდ

ახლა გამოძვრეს და, რა თქმა უნდა, თანახმა იქნება. ეგ ოღონდ ალაპარაკეთ...

— ძალიან კარგი, — ბრძანა ვარ ვირტმა, — სამი დღის შემ-დეგ დავიწყებთ.

— შეიძლება ჩემი გესმით, — ახლა მე მომმართა ექიმმა, — უნდა მოიკრიბოთ მთელი ძალა, რაც გაქვთ, და ყურადღებით მომისმინოთ: ინტრავენურად ძლიერმოქმედი ნამალი შეგიყვანეთ, ლაპარაკი ამიტომ არ შეგიძლიათ. სამ დღეს სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იქნებით. ეს თქვენი ომია და ამ ომში უნდა გაიმარჯვოთ. ვიღაცა მოვა და ნაყოლას მოგთხოვთ. არ გაჰყვეთ. თუკი ამ დროს ფიქრის უნარი გექნებათ, იფიქრეთ, რომ თქვენი ნასვლა არ შეიძლება, რადგან ვალი გაქვთ გადასახდელი. მოიფიქრეთ, რა ვალი გაქვთ. სხვისი თუ არა, ჩემი ვალი მაინც გექნებათ, დუბრავ-ლაგზე და პოტმაზე ყველაფერს უნდა მომიყვეთ, ეს ის ად-გილია, სადაც მე დავიბადე. ჩვენ ახლა გტოვებთ, დამშვიდ-დით, დაიძინეთ.

„Debt, ვალი, — გავიფიქრე მე, — აი, სწორი სიტყვა. ვერ-სადაც ვერ ნავალ, სანამ ვალს არ გადავიხდი. ეს მართა-ლია. დიახაც, მე ვალი მაქვს, ძალიან დიდი ვალი. ჩემს ვალს სახელიც კი ჰქვია. მას ჰქვია არკადი დუდკინი“.

## პრეზიდენტის მიერ გადაწყვეტილი მუშაობის შესახებ

ორი სიცოცხლე ჰქონდა, უფრო სწორად, ისეთ დაწესებულებაში (ეს სიტყვა საბჭოთა კავშირის შემდეგ არც უნდა იხმარებოდეს, იმდენად მკვიდრად საბჭოურია და აღიარებს სახელმწიფოს მიერ ადამიანისთვის დადგენილი წესის უზენაესობას), კერძოდ, ისეთ დაწესებულებაში ჯX 385/3 5 იმყოფებოდა, რომ სიცოცხლე სულ არ ჰქონდა, მაგრამ მან ამის შესახებ არ იცოდა; მან იცოდა, რომ ის არის არკადი დუდკინი, სამამულო ომის ვეტერანი, ამ ომის გმირი, კაცი, რომელმაც ეკლესიის თავზე (რა თქმა უნდა, კინოში ნანახ რაიხსტაგს გულისხმობდა, ეტყობა, მისი წარმოდგენით, გუმბათი მხოლოდ ეკლესიას შეიძლება ჰქონდეს) ქანთარიასთან ერთად წითელი დროშა დაამაგრა, ხოლო გოროხოვი (ამ გვარში არკადი მელიტონ ქანთარიას თანამედროშეს, სახელგანთქმულ მიხაილ ეგოროვს გულისხმობდა) იქ არც ყოფილა. კიდევ არკადიმ იცოდა, რომ 13 მაისს თავისუფლდებოდა, ოღონდ ან წლების აღრიცხვა შეწყვიტა, ან აღარ ახსოვდა რამდენი ჰქონდა მისჯილი, ან მისთვის დადგა ერთი საბოლოო და უსასრულო წელინადი, რომელშიც იგი ყოველწლიურად უნდა გათავისუფლებულიყო, მაგრამ ბოროტი ადამიანები, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „სუპოსტატები“, არ ათავისუფლებდნენ.

კიდევ ბევრი რამ იცოდა არკადი დუდკინმა, მაგალითად, ვლადიმირის ციხეში საკანში მასთან ერთად მჯდარმა ლიონია ბრეუნევმა რომ ომში სისხლითა და ოფლით მოპოვებული მედლები და ორდენები მოჰპარა, რომ იგი ტანკიდან „გამოაპულტირეს“ (меня пультировали-о, – უყვარდა თქმა) და კიდევ ბევრი ისეთი რამ, რაც ავლენდა მის ხაზს, მის გულუბრყვილო, არაპროფესიულად დამუშავებულ მითოსს,

სამძებრო უარგონზე „ლეგენდას“, რომელიც დაპატიმრების დღიდან აირჩია და რომლისთვისაც აღარასოდეს ულალატია: იბრძოდა ომში, მოიპოვა მედლები და ორდენები, დროშა დაამაგრა, სადაც საჭირო იყო და ვისთან ერთადაც საჭირო იყო. ამის შემდეგ სულ ტყუილად დაპატიმრეს.

ლეგენდის დამუშავებაში, ეტყობა, მას ეხმარებოდა ის ფაქტი, რომ მისი უფროსი ძმა, ვასილი დუდკინი მართლა იბრძოდა სამამულო ომში, მართლა გმირი იყო და ქანთარია-სთან და ეგოროვთან ერთად რაიხსტაგზე დროშა თუ არ დაუმაგრებია, რაიხსტაგის აღების ოპერაციაში მართლა მონაწილეობდა.

დიახ, არკადიმ იცოდა, რომ გმირი იყო, მაგრამ მისი ცოდნა არ ეთანხმებოდა ზონის ადმინისტრაციისა და, კაც-მა რომ თქვას, მთელი ზონის ცოდნას, ეს უკანასკნელი კი აღიარებდა მხოლოდ ერთ ფაქტს: ომის დროს არკადი პოლიცაი იყო. როდესაც გერმანელები შევიდნენ მის ბელორუსულ სოფელში, არკადი 15 წლის იყო და ტყეში არ თუ ვერ გაიქცა, რომ ომის პირველივე დღებიდან გმირული პარტიზანობა დაეწყო, ხოლო 17 წლის რომ შესრულდა, არკადის, ამ უწვერულ და ნერა-კითხვასთან მწყრალად მყოფ ცოტა „იმნაირ“ ბიჭს პოლიცაის ფორმა ჩააცვეს, ხელში „შმაი-სერი“ მისცეს და სოფელში წესრიგის დამყარება მოსთხოვეს. იარაღის გასასინჯად ტყისკენ წავიდა და რამდენიმე ჯერი დაცალა (ეს უკანასკნელი საქციელი საბრალდებო დასკვნაში ასე აისახა: „сделал выстрел в сторону партизан“, ანუ პარტიზანთა მიმართულებით გაისროლაო). ორი დღის შემდეგ სოფელი პარტიზანებმა დაიკავეს და არკადის პოლიციელობაც დასრულდა. პარტიზანებს ჭკუასუსტი ბავშვის დასჯაზე არც უფიქრიათ. საბოლოოდ, პოლიცაის ფორმის ჩაცმა (მეტი დანაშაული საბრალდებო დასკვნაში არ იყო აღნერილი, იმიტომ რომ სოფელში სულ ხუთი ოჯახი იყო,